ახალციხის მუნიციპალიტეტის
საკონკურსო კომისიის სხდომის
ო ქ მ ი №24

ქ.ახალციხე 05 აპრილი 2012 წ
16:00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

გელა დემეტრაძე - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, ახალციხის მუნიციპალიტეტის მუნიციპალიტეტის გამგებელი;

მალხაზ ასპანიძე - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, ახალციხის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;

გიორგი გიქოშვილი - საკონკურსო კომისიის წევრი, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე;

მაკა სამსონიძე - საკონკურსო კომისიის წევრი, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი;

ემზარ მღებრიშვილი- საკონკურსო კომისიის წევრი, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარები სამსახურის მთავარი სპეციალისტი არქმშენინსპექციის საკითხებში

მანანა ზალიაშვილი - საკონკურსო კომისიის წევრი, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის მთავარი სპეციალისტი –სახელმწიფო შესყიდვების საკითხებში;

გაგა ივანიძე - საკონკურსო კომისიის წევრი, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

დავით ჩაჩანიძე - საკონკურსო კომისიის წევრი, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის წამყვანი სპეციალისტი მშენებლობისა და სივრცითი მოწყობის საკითხებში.

თენგიზ ზედგინიძე- საკონკურსო კომისიის წევრი, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი;

გიორგი მიქელაძე – საკონკურსო კომისიის წევრი, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგებლის თანაშემწე;

დღის წესრიგი:

ახალციხის მუნიციპალიტეტის მიერ: „ქ. ახალციხეში, რუსთაველის ქ. №45-ში მდებარე შენობის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის", დამუშავება კონკურსის საშუალებით შესყიდვის მიზნით, კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე 2012 წლის 22 მარტს 18:54 **საათზე** გამოცხადებულ №389 კონკურსში კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების შერჩევა-შეფასება და გამარჯვებულის გამოვლენა.

მოისმინეს:

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ გელა დემეტრაძემ საკონკურსო კომისიას მოახსენა , რომ სხდომას მდივნობას გაუწევს საკონკურსო კომისიის წევრი მაკა სამსონიძე.

საკონკურსო კომისიის წევრმა გიორგი გიქოშვილმა საკონკურსო კომისიას მოახსენა, რომ ახალციხის მუნიციპალიტეტის მიერ „ქ. ახალციხეში, რუსთაველის ქ. №45-ში მდებარე შენობის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის" კონკურსის საშუალებით შესყიდვის 2012 წლის 22 მარტს 18:54 **საათზე** გამოცხადებულ №389 კონკურსში ახალციხის მუნიციპალიტეტში საკონკურსო წინადადება წარმოადგინა ერთმა კონკურსანტმა- შპს „მესხმშენპროექტმა" შემდეგ თანხაზე: 400 (ოთხასი) ლარი.

განხილვა:
შპს „მესხმშენპროექტი"-ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება.

კომისიამ დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „მესხმშენპროექტი"-ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება სრულად შეესაბამება საკონკურსო განცხადებასა და საკონკურსო პირობებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2. ახალციხის მუნიციპალიტეტის მიერ „ქ. ახალციხეში, რუსთაველის ქ. №45-ში მდებარე შენობის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის" კონკურსის საშუალებით შესყიდვის მიზნით, 2012 წლის 22 მარტს 18:54 **საათზე** გამოცხადებულ №389 კონკურსში საკონკურსო კომისიის წევრთა შეფასებით გამარჯვებულად გამოვლინდეს შპს „მესხმშენპროექტი".

3. დაევალოს საკონკურსო კომისიის წევრს მ. ბალიაშვილს, შპს „მესხმშენპროექტი"-ს წერილობითი ინფორმირება და სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების მომზადება, გაფორმების შემდეგ ხელშეკრულების ატვირთვა ერთიან ელექტრონულ სისტემაში არაუგვიანეს 2012 წლის 05 აპრილისა.

4. საკონკურსო კომისიის წევრს მანანა ბალიაშვილს დაევალოს წინამდებარე ოქმისა და საკონკურსო დოკუმენტაციის, კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ ქსელში განთავსება.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე	გ. დემეტრაძე
საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე	მ. ასპანიძე
საკონკურსო კომისის მდივანი	მ. სამსონიძე
საკონკურსო კომისიის წევრები	გ. გიქოშვილი
	გ. ივანიძე
	თ. ზედგინიძე
	მ. ბალიაშვილი
	გ. მიქელაძე
	ე. მღებრიშვილი
	დ. ჩაჩანიძე